

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #006/19¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ კირაკოზაშვილი (სტუდენტი)

1. შეკითხვა

ადვოკატის პირველი კლიენტი, სასარჩელო მოთხოვნით, ითხოვს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობას, ხოლო მეორე კლიენტს იდენტური სტანდარტული პირობები ხელშეკრულებაში აქვს გაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ კლიენტს არანაირი შემხებლობა არ აქვთ, ერთ შემთხვევაში კლიენტის მოთხოვნის დაკმაყოფილება, შესაძლებელია ნეგატიურად აისახოს მეორე კლიენტზე. წარმოადგენს თუ არა, აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტს?

2. სამართლებრივი შეფასება

ადვოკატი იურიდიულ მომსახურებას უწევს ორ კლიენტს. ორივე კლიენტისთვის გასაწევი იურიდიული მომსახურების შინაარსი სხვადასხვაა, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებულია იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივე სტანდარტული პირობები წარმოადგენს, როგორც „პირველი კლიენტის“, ასევე „მეორე კლიენტის“ სახელშეკრულებო ურთიერთობის ნაწილს. აქედან გამომდინარე, „პირველი კლიენტის“ სასარგებლოდ სასამართლო დავის დასრულება გამოიწვევს „მეორე კლიენტის“ საქმის დაზიანებას და მისი ინტერესების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას. ადვოკატის პროფესიული სტანდარტებიდან გამომდინარე, ის ვალდებულია არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობები, რომელიც კლიენტის ინტერესებს შეუქმნის საფრთხეს. ამ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ვერ იქნება უზრუნველყოფილი ადვოკატის დამოუკიდებლობა, ორივე კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას, რადგანაც მათი ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდება.

ადვოკატის მიერ „პირველი“ და „მეორე კლიენტის“ წარმომადგენლობა ქმნის ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის საფრთხეს. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).

3. დასკვნა

ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს „პირველი კლიენტის“ წარმომადგენლობისაგან და გააგრძელოს „მეორე კლიენტის“ წარმომადგენლობა, რადგან „პირველი“ და „მეორე კლიენტის“ საქმეები ერთმანეთთან პირდაპირ არ არის დაკავშირებული და ერთ საქმეში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება არ იქნება აუცილებელი ადვოკატის მიერ მეორე კლიენტის ინტერესების სრულყოფილად დასაცავად.

¹<https://www.gba.ge/pdf/5d63f608e9768.pdf/werilobiti%20rekomendacia%20006.19%20gacemis%20tarigi%2029.07.19.pdf>